სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 დეკემბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/115

ბსუ-ს 2024 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საბოლოო პროგრამული ანგარიშების მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების'' მე-5 და მე-6 მუხლების, ,,ბსუ-ში 2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 2 დეკემბრის №01-02/283 ბრძანების, „ბსუ-ს 2023 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პროგრამული ანგარიშების (საბოლოო) მოსმენის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 01 თებერვლის №06-01/13 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 01 თებერვლის №06-01/11 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ ზეინაბ გვარიშვილის 2024 წლის 10 დეკემბრის №1594146 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორის მარინა ქორიძის 2024 წლის - დეკემბრის № სამსახურებრივი ბარათის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ გიორგი აბუსელიძის 2024 წლის 17 დეკემბრის №1621983 სამსახურებრივი ბარათის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ ლეილა ახვლედიანის 2024 წლის - დეკემბრის № სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. <u>მოწონებული იქნეს</u> ბსუ-ში **2024 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი** სამეცნიერო-კვლევითი პროექტების <u>ხელმძღვანელების/მენეჯერების მიერ წარმოდგენილი საბოლოო პროგრამული ანგარიშები</u> (გეგმა-გრაფიკების შესაბამისად შესრულებული აქტივობების, პროექტების ბიუჯეტების შესაბამისად გაწეული ხარჯების, გაცემული თანხების შესახებ):

1.1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით:

<u>„MTHFR 677 C/T გენის პოლიმორფიზმთან ასოცირებული ზოგიერთი დაავადება ხანდაზმულ ადამიანებში“</u> (ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი **მარინა ქორიძე)** - წინამდებარე დადგენილების **N1 დანართი**;

1.2 ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით:

„ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები რეგიონში ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევების პირობებში“ (ხელმძღვანელი/მენეჯერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი **გიორგი აბუსელიძე)** - წინამდებარე დადგენილების **N2 დანართი;**

1.3 ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით:

„ბსუ-ს „ევროპარლამენტის TermCoord-ისა და corpus.bsu.edu.ge-ს ტერმინოლოგიური კოორდინაცია“ (ხელმძღვანელი/მენეჯერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **ზეინაბ გვარიშვილი)** - წინამდებარე დადგენილების **N3 დანართი;**

1.4 მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით:

„ზოგიერთი აუტოიმუნური დაავადების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა“ (ხელმძღვანელი/მენეჯერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი **ლეილა ახვლედიანი)** - წინამდებარე დადგენილების **N4 დანართი)**

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების ხელმძღვანელებს, პროექტების განმახორციელებელი პერსონალის მიხედვით შესაბამის ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას).

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**